ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 13
26/01/2018

13-08-4-201801261714

განკარგულება

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების

მიზნით დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140 მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140 მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის მიზნით მოწვეული იქნას აუდიტი.
2. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. მუნიციპალიტეტის მერმა დაავალოს გამარჯვებულ აუდიტორს ჩაატაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი - ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა